ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №424815

ნომერი: AR190522

თარიღი : 05.11.2012

გაცემის თარიღი : 08.11.2012

გაცნობის თარიღი : 16.11.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მელიტონ ქანთარიას ქ.N11ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ნათაძე პ/ნ 01017018872
- თბილისი გ.ქუჩიშვილის ქ. N 20

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია
- სახურავზე კეხის სიმაღლისა და ქანობის შეუცვლელად სამერცხლულის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია კარისა და ფანჯრის შეცვლა, ხოლო რაც შეეხება სახურავზე მზის ამრეკლი თუნუქის ფენილისა და უსაფრთხოების მოაჯირის მოწყობას, მეტი თვალსაჩინოებისათვის საჭიროა წარმოადგინოთ არსებული სიტუაციის ფოტოსურათები გადაღებული სახურავზე სარეკონსტრუქციო არეალის ჩვენებით და მასზე დამუშავებული ფოტომონტაჟი ზომებისა და მასალის მითითებით, ასევე მოთხოვნის ტექსტში ვრცლად განიმარტოს აღნიშნულის შესახებ. სამერცხლულის გადიდებასთან დაკავშირებით, კი მოგახსენებთ: თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული ფოტომონტაჟის მიხედვით მოწყობილი "სამერცხლულებით" (მსგავსი გაბარიტული ფორმით და მოცულობით) ფაქტიურად იცვლება სახურავის ქანობი, რაც წინააღმდეგობაში მოდის ,,ქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ,, და ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4–13 გადაწყვეტილებასთან (მუხლი #21)–ს თანახმად მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზე, ნებადართულია მხოლოდ ერთიანი პროექტის ფარგლებში ნაკლული ლოჯიების ან სხვა არქიტექტურული კონსტრუქციის მიშენება მხოლოდ ერთიანი იერსახის აღდგენის მიზნით.

დამატებით განგიმარტავთ, რომ სამერცხლული წარმოადგენს ფანჯრის ღიობს სხვენის სართულზე, განკუთვნილი სხვენის გასანიავებლად და გასანათებლად, განლაგებული სახურავის დაქანებაზე, შესაძლებელია იყოს სხვადასხვა ფორმის: მრგვალი სწორკუთხა და მრავალკუთხა, მისთვის სახასიათო მცირე გაბარიტული ზომებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამერცხლულების მოწყობა უნდა განხორციელდეს სახურავის კეხის და სიმაღლის შეუცვლელად, არსებული ფანჯრის ღიობების გასწვრივ სიმეტრიულად განთავსებული სამერცხლულისათვის სახასიათო ტიპიური გაბარიტული ზომებით და მათ შორის მანძილის. ინტერვალების და რიტმის დაცვით.

– ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით განახლებული ფოტო მოტაჟები გაბარიტული ზომებისა და მასალის მითითებით.

გარდა ამისა ველში "არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულება" – ატვირთული მინდობილობა ვადაგასულია.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.